საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №1011

თბილისი „09“ 09 2015 წ.

2015 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 30[1] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 08 სექტემბრის N861938 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2015 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადა დადგინდეს - 2015 წლის 14 სექტემბრიდან 2015 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

_____ 08.09.2015 /ლელა შეწირული/

შეთანხმებულია:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსთან

_____ 08.09.2015 /ლანა ხუნაშვილი/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან

_____ 08.09.2015 /დავით ლომინაშვილი/

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსთან

_____ 09/09/15 /ირინა წეროძე/

მინისტრის პირველ მოადგილესთან

_____ /ქეთევან ნატრიაშვილი/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
2. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანთლებლო დაწესებულებისათვის გაცნობის მიზნით);
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს;
4. შიდა აუდიტის დეპარტამენტს;
5. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას;

04173